# სახალხო გაზეთი

№ 1064 სამშაბათი, 10 დეკემბერი 1913 წ. № 1064

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან შუადღ. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლიოპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



**სახალხო გაზეთი**

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველი დეკემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს **75 კაპ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

## ტფილ. ქართული დრამატიული საზოგადოება

აცხადებს, რომ დღეს, 10 დეკემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი

## ალექსანდრე ყაზბეგის

სულის მოსახსენებლად, გარდაცვალების 20 წლის აღსანიშნავად. პანაშვიდი დაიწყება 2 საათზე. 1617

იოსებ, ნიკოლოზ და მაკრინე პაიჭაძენი, ნინო ლოლაძისა, მარიამ და ნიკოლოზ მელითაურნი აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ დეკემბრის 12-ს, დილის 10 საათზე, წმიდა ნინოს ეკლესიაში, კუკიის სასაფლაოზე გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მათი დედის

## ქეთევან იოსების ასულის პაიჭაძის

სულის მოსახსენებლად. 865

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგ. № 30—8.

სამშაბთს, 10 დეკემ., 1913 წ. ქართ. დრამ. საზოგ. დასის მიერ **ნ. ჩხეიძის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება **პირველად ქართულ სცენაზე:**

## დამარცხებული რომი,

ტრაგედია 5 მოქმ. ალ. პაროდისა, თარგმ. ვალ. შალიკაშვილისა.

ამ პიესისათვის შეკერილია ახალი ტანისამოსი და დახატულია ახალი დეკორაციები მხატვარი გ. ნადეჟდოვის მიერ.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი: თოიძე, მამულაშვილი, მაჭავარიანი, მდივანი, სინაურიძე, ქიქოძე, ქოდალაშვილი, შოთაძე. ბ-ნნი: არადელი-იმნელი, ბარველი, გომელაური, გუნია, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, ქესხი, სარაული, ურუშაძე, ციციშვილი, ხონელი, შალიკაშვილი.

დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

მზადდება წარმოსადგენად: ახალი მოძღვრება, მარიამ სტუარტ, ჰამლეტი, სინათლე. 12 დეკემ., ბენეფისი მ. მდივნისა, წარმ. იქნება: **ახალი მოძღვრება.** ✦ ადმ. ქ. დ. საზ.

პირველ-ხარისხოვანი

## დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა



მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე

**დღეს, 10 დეკემბერს, 1913 წ.**

## დიდი საარისტოკრატო წარმოდგენა

დღისით დაიწყება 2 საათზე, ფასი 5 კაპ.

მე-11 დღე მსოფლიო ფალავანდთა ფრანგული ჭიდაობისა.

დღეს ჭიდაობენ ვახტუროვი და ელიზაროვი; ციპსი და პრუსიკი, საბატიე და ურსი, ლავრენოვი და სედიხი.

858 დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჯრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა— **ჭლექი**— და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვასხივური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყალებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

## გორის პირველი კერძო სამკურნალო

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ** (შინაგანი სნეულებათა) **განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი ვ. გ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.**

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606", „914".** 1604

დღეს, 10 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია გაგრძელება

## „ახალი კლუბის" წევრთა არაჩვეულებრივ საზოგადო კრებისა.

კრება მუდმივ მოსიარულეთა არჩევნებს მოახდენს. 1586

## „ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭო

**აცხადებს** კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ **უკანასკნელ ვადად 1914 წლისათვის საწევრო ბილეთების განახლებისა დანიშნულია ამა წლის 20 დეკემბერი.** ვინც თავის დროზე საწევრო ბილეთებს არ განაახლებს, ჰკარგავს კლუბში უფასოდ შესვლის უფლებას 1914 წლის 1 იანვრიდან.

საწევრო ფულების გადახდა და ბილეთების განახლება შეიძლება კლუბის კანტორაში ყოველ-დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 9 საათიდან ღამის 12 საათამდე. 1585

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

**წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:**

| | |
|---|---|
| ქართ. ცხოვრება მარიამ დედ. ვარ. 3 მ. — | — Источники груз. лѣтописей 1 „ — |
| საქართ. ისტორია ვახუშტისა 2 „ — | — Хроника Эристовскаго Акафиста . . . — „ 10 „ |
| „ „ ბაქრაძისა 1 „ — | — Еще одинъ изъ источниковъ исторіи Грузіи . . — „ 30 „ |
| „ „ ბროსესი 1-ლი — „ 70 კ. | — Разборъ армаздекойнадписи по фотографическому списку . . — „ 10 „ |
| „ „ „ 2-ე — „ 70 „ | — Матеріалы для истор. Грузіи 30 „ |
| თაყაიშვილი ექვთ. Опис рукописей О-ва распр. гр. ср. гр. нас. | — Канчаетскій „Жам - гуланъ и историческія приписки его Кинѣлосы . . — „ 15 „ |
| — т. 1 вып. 1 1 „ — | — სიზმარი ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისა . . — „ 15 „ |
| — „ 1 „ 2 1 „ — | **ახალი წიგნები:** |
| — „ 1 „ 3 — „ 75 კ. | ისტორიული საბუთები 3-ე ს. კაკაბაძე 1—20 |
| — „ 1 „ 4 — „ 75 „ | მეცნარენი და ცხოველები ცხელი ქვეყნისა ა. ჰიჰინაძესი . . 35 კ. |
| — „ 2 „ 1 — „ 75 „ | |
| — „ 2 „ 2 1 „ — | |
| — „ 2 „ 3 1 „ — | |
| — „ 2 „ 4 1 „ — | |
| — Сигелъ груз. царя Баграта 4 . . . — „ 30 „ | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

**გამოვიდა და იყიდება ნოტებზე გადაღებული ლექსი.**

## მენაზვავე

[ი. სარაჯიშვილის და ი. გრიშაშვილის სურათებით. **ფასი 25 კაპ.**

**ელექტრონის, რენტგენის სინათლის**

## სამკურნალო

**საწოლი ოთახებით**

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქაშუეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებ.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. მ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს.<br>**ფედოროვი ი. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | [illegible] **ს. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. სნ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკრო-ქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. [illegible] ცალკე ოთახი 5 მ.-დან. [illegible] დღე წოლით [illegible] დაწყებული [illegible], კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და ფილტვების კატეტერიზაცია, „606"-და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, და სხვა. შეღავათიანი ფასებით. 1[illegible]

მღვდელი

**ექიმი ს. ა. ლ[illegible]**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—57. 779

**ექიმი ი. ი. ბერიშ[illegible]**

სწავლობს ხშ[illegible] გახოთა, **ათაშანგისა და კა[illegible] ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, [illegible]რონჩინი ქუჩის ახლოს, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი ნ. ს. ჯავახიშვილი**

**ორდინატორად სახელმწიფო კოვვის ხერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჰერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავადმ. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახ[illegible] აშენებულ ეკლესიისა და დიდ[illegible]ის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

**ნომრები**

## „ფლორიდა"

გოლოვინის პროსპ., სახლი № 32,

## შემთხვევით იყიდება

**მთელის მოწყობილებით.**

ცნობების მიღება შეიძლება იქვე. 867

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად **ტელეფონი № 481.**

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**აბელედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—$11^1/_2$ ს.

**ბოგუცკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვოროვიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

**ასპიზოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდნეკი.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**ბალამკაროვი.** ბებია, ქალური სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. იოხელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკოვი.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$ ს.

**ექ. ქალი იოხელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**მ. მ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

## წამლობა „606"-ით

1462

**დოქტორი**

## ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—$7^1/_2$ ს. კვირაობით 11—12 საათამდე ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

## ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

**ქ. გორში**

**ექიმი** (დოქტორანტი). **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა, ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571


## ტფილისი, 10 დეკემბერი

**ეროვნული დაწესებულებანი.** „თემი"-ს რედაქტორსა და სომხურ გაზეთის თანამშრომლის შორის საუბარია გამართული პოლიტეხნიკუმის თაობაზე. ბ-ნი გრიგოლ დიასამიძე თავის პასუხში, სხვათა შორის, სწერს: „განა ყურს არ ეხამუშება სახელწოდება: „სომხური სასოფლო მეურნეობის საზოგადოება", „ქართული სასოფლო მეურნეობის საზოგადოება"? თითქოს მეურნეობისა და ეკონომიური მოქმედების დარგი მოითხოვდეს ასეთ განაწილებას".

აი სწორედ, ამ მოსაზრების გამო გვინდა ვებაასოთ მკითხველს. ბ-ნი გრიგოლ დიასამიძე პირველი არ არის ისეთი, რომელიც ვერ შეჰრიგებია ასეთ დაწესებულებათა ეროვნულად არსებობას. სხვებისაგანაც ხშირად გაგვიგონია, არავითარ საჭიროებას არ შეადგენს განსაკუთრებულ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა დაარსებაო. ასეთი მოსაზრება გამოითქვა მაშინ, როდესაც ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება არსდებოდა. მაშინ ჩვენმა გაზეთმა ის მოსაზრება გამოსთქვა, რომ მხოლოდ ასეთი ორგანიზაციის დაარსებით მოხერხდება გაცხოველება სამეურნეო ცოდნის გავრცელებისა. ჩვენი მოლოდინი გამართლდა. რამდენი ხანია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება არსებობდა, მაგრამ ქართველმა ხალხმა მისი არსებობა არც კი იცოდა. მართალია, ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მოქმედება არც იმდენად ნაყოფიერია, რამდენადაც თვით საქმის საჭიროება მოითხოვს, მაგრამ ამ გარემოებას თავისი გასამართლებელი მიზეზები აქვს: საზოგადოება ჯერ ახალი დაარსებულია და სახსარიც ცოტა აქვს. კავკასიის საიმპერატორო საზოგადოებასთან შედარებით ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება უარესს ქონებრივ მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ უკანასკნელი უფრო პოპულიალური გახდა.

ეროვნულ ორგანიზაციების დაარსებას მოითხოვს არა პატრიოტული გრძნობა, არამედ ის უტყუარი პრაქტიკული მოსაზრება, რომ ამგვარ დაწესებულებათა საშუალებით უფრო ადვილია ცოდნის გავრცელება ხალხში. გამოეცით მშვენიერი სამეურნეო რუსული ჟურნალი. იგი სრულიად უსარგებლოდ დარჩება ფართო მასისთვის. ისეთი ჟურნალი კი, როგორიც, თუნდა, „სასოფლო გაზეთი" და „მოსავალია" უფრო ადვილად ვრცელდება ხალხში. საზოგადოდ, მნიშვნელობა ეროვნული ორგანიზაციებისა ისეთი დიდი არსად არ არის, როგორც სასოფლო - სამეურნეო ცხოვრებაში. ეს, რა თქმა უნდა, იმას არა ნიშნავს, თითქოს თვით სასოფლო-მეურნეობა, როგორც ასეთი, ეროვნული იყოს. მევენახეობა ყველგან მევენახეობაა და მებაღეობა—მებაღეობა, მაგრამ სპეციალურ ცოდნის გავრცელება ხალხში კი შეიძ-

ლება მხოლოდ ეროვნულ ფარგლებში ეროვნულ—კულტურულ დაწესებულებათა საშუალებით.

ეს იმდენად ცხადი და თვალსაჩინოა, რომ არ გვეგონა, თუ გამოჩნდება ისეთი ვინმე, რომელიც ასეთ დაწესებულებებში რაიმე სათაკილოს დაინახავდა და „ყურშიაც კი ეხამუშებოდა“ სახელწოდება „ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“. სწორედ რომა ვთქვათ, ნამდვილად ხასიათი ამნაირის საზოგადოებისა ასე უფრო კარგად გამოითქმება: „სასოფლო-სამეურნეო ქართული საზოგადოება“. რა არის აქ „სახამუშო“ ან „სათაკილო?“

ჩვენ ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ მივაქციეთ, რომ ასეთი აზროვნება **ტიპიურია**.

ის განსაკუთრებული პირობები, რომლებშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ის ერთგვარი ეროვნული არევ-დარევა, რომელიც ტფილისს ემჩნევა, ჰბადებს ილიუზიას, თითქოს ეროვნული სოლიდარობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, როდესაც ყველა ენოვნებანი ერთ დაწესებულებაში მოიყრიან თავს. ადვილად შესაძლებელია, **გარეგნულად** ასეთს საზოგადოებაში კიდევ დამყარდეს მშვიდობა და სათნოება, მაგრამ ეს მშვიდობა ნაყიდი იქნება თვით პრაქტიური ნაყოფიერების ფასად. პრაქტიკული ნაყოფიერება მსხვერპლად შეეწირება გარეგნულ ერთსულოვნებას. ასეთი ილიუზიების შექმნას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს. ქართულსა და სოხურს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს თამამად შეუძლიანთ ცალ-ცალკე იმუშაონ— თუ არსებობს რეალური პირობები სოლიდარობისა და თუ თვით ერებს ჰსურთ სოლიდარობის დამყარება, კულტურულ საზოგადოებათა ეროვნული ორგანიზაცია ხელს ვერ შეუშლის სოლიდარობის დამყარებას.

ცხოვრების მაგალითი საუკეთესოდ ამოწმებს ამას. ტფილისში არსებობდა განყოფილება რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოებისა, მაგრამ იგი ჩვენთვის მკვდარი იყო. საისტორიო და საეთნოგრაფიო მუშაობა ხომ წმინდა მეცნიერულ მუშაობაა, მაგრამ ამ დარგშიაც ცოცხალი სული მხოლოდ მაშინ დატრიალდა, როდესაც **ქართული** საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება დაარსდა. ამ გზისაკენ უთითებს ქართველ საზოგადოებას თვით ულმობელი სინამდვილე და ამასთან ბრძოლა სწორედ რომ ქარის წისქვილებთან ბრძოლას დაემსგავსება.

## ქართული პრესა

გაზეთ „კლდის“ რედაქციაში ალბად წერა-კითხვა აღარავინ იცის! ჩვენი თანამშრომელი **სიტყვა** ამას წინად ერთ-ერთს თავის წერილში ამბობდა, რომ დღეს ისტორიულ საქართველოს ვერ დავეპყრობით, ხაზში უნდა ვიქონიოთ მხოლოდ რეალური საქართველოს საზღვრებიო. ამასთანავე ჩამოთვლილი იყო ყველა ის მაზრა, სადაც დღეს ქართველობა უმრავლესობას შეადგენს და რომლებიც შეადგენენ რეალურს საქართველოს. დასახელებული იყო, რასაკვირველია, ტფილისის გუბერნიის მაზრებიც, გარდა ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებისა.

„კლდეს“ მოჰყავს ერთი ნაწყვეტი წერილისა, რომელსაც ასეთს დასკვნას უკეთებს:

„გამოდის, რომ ტფილისის გუბერნიაზე ბ. სიტყვა გულუხვად ხელს იღებს სხვა ერების უფლების დასაცავად და ამავე დროს გვირჩევს: ვიბრძოლოთ ჩვენი ტერიტორიის დასაცავადო. ეს პოლიტიკური უსუსურობა და უთავბოლობა ჰქონის იმას, რომ არამც თუ ჩვენს ტერიტორიას ვერ ვიცავთ, ორთავ ხელითაც ვურიგებთ სხვასა“.

რასაც ჩვენს საზოგადოებას ვურჩევთ, ეს მკითხველებმა კარგად იციან. ხოლო მართლაც უსუსურს „კლდისტებს“ ვურჩევთით: ისწავლონ ანბანი, ისწავლონ კითხვა და მერე აიღონ კალამი ხელში.

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „ზაკავკაზიეში“ დაბეჭდილია წერილები **ამბერისა** ილორის მონასტერის რუსულ მონასტრად გადაკეთების განზრახვის შესახებ. წერილში საყურადღებო აზრებია გამოთქმული რუსის ბერების სამონასტრო მოღვაწეობის გამო ჩვენში. ავტორი უტყუარის საბუთებით ამტკიცებს, რომ რუსულს მონასტრებს, რომლებიც დაარსდა ჩვენში, არცერთს არ ჰქონია მიზნად სარწმუნოებრივი მოღვაწეობა, არამედ ყოველი მათგანი ვიწრო შოვინისტურს, გამარუსებელ პოლიტიკას მისდევდა და სდევნიდა და სდევნის ყველაფერს, რასაც ქართული, საზოგადოდ ადგილობრივი ელფერი ჰქონდა.

იტყვიან, რომ რუსის ბერებმა დანგრეული ტაძრები და ეკლესიები აღადგინეს, კულტურა შემოიტანესო. ამის შესახებ ავტორს მოჰყავს ცნობილი არქეოლოგოსის გრაფ. უვაროვის სიტყვები, რომელიც სწერს:

„ახალ ათონზე ათონელმა ბერებმა ისე უცოდინარად და მოუხეშავად განაახლეს ძველი ტაძარი, რომ უკანასკნელმა დაჰკარგა ყოველივე ხასიათი სიძველისა და მნიშვნელობა მეცნიერებისთვის... ტაძარში არ დარჩა არაფერი, რაც მას ამშვენებდა. ყველაფერი წაშალეს, გადაფხიკეს, გათითხნეს, შელესეს“.

„დრანდის ტაძარი განაახლეს სწორედ ბარბაროსულად (რაიც, ვგონებ, მხოლოდ რუსებს სჩვევია) და იგი უსაშინელეს შთაბეჭდილებას ახდენს. გული გიკვდება ადამიანს, როცა ხედავს, რომ აქაც ყველაფერი წაშლილია და წათითხნილი. არ იცი ადამიანმა, რა უფრო სასურველია: ის, რომ კავკასიის სიძველენი ხელუხლებლად, უცნობად დარჩნენ, თუ ათონის და დრანდის მსგავს ბერებმა გადააკეთონ ისინი საგოსპიტლო და საცირკო შენობად“.

როგორც მკითხველმა იცის, რუსის ბერებმა ვითომდა განაახლეს და გადააკეთეს ახალციხის მაზრაში შესანიშნავი საფარის მონასტერი. ამ გადაკეთების ნაყოფს ასეთნაირად აგვიწერს პატივცემული ისტორიკოსი ე. თაყაიშვილი:

„ვისაც გადაკეთებამდე უნახავს საფარის მონასტერი, ეხლა ვეღარ იცნობს. განზრახ ცდილან, რომ დაემახინჯებიათ სიძველენი. ნაცვლად წინანდელის მშვენიერის სახურავის, ეხლა წმ. საბას ლავრისათვის გაუკეთებიათ რკინისა; ქართული ლამაზი გუმბათი დაუნგრევიათ და დაუდგამთ შეუფერებელი რუსული, რის გამო მთელი შენობა რაღაც საზიზღრობას წარმოადგენს. მონასტრის ყველა პატარა ეკლესია გაუთეთრებიათ შიგნით და გადაუკეთებიათ საცხოვრებელ ბინად ან საწყობად... მთელი მონასტერი ეხლა ყაზარმას ჰგავს. მიძინების ეკლესიაში ფრესკები კირითაა გალესილი... წმ. მარინეს ეკლესიაში ბერები სცხოვრობენ, რომელთაც ფრესკიანი კედელი გაურღვევიათ ფეჩის მილის გასაყვანად. კედლებში, სადაც წმიდათა სახეებია დახატული, ლურსმებია ჩარჭობილი და ზედ გასვრილი ტანისამოსი ჰკიდია“.

ამ გვარივე ბედი ეწვია, უვაროვის ქალის სიტყვით, საფარის საუცხოვო კანკელს.

„ეს კანკელი, ამბობს გრაფინია: ხელუხლებელი იყო ოსმალეთის ბატონობის დროს, მაგრამ ქრისტიანების ხელში გადასვლის შემდეგ განადგურდა და გაოხრდა“.

ეგვე უვაროვისა ამბობს, რომ ყოველივე ეს ხდებოდა სრული გარუსების მიზნისათვის და დასძენს, რომ სამწუხაროა ძვირფასი ნაშთების ასეთი შელახვა და უპატივცემლობაო.

ჩვენის მხრით კი უნდა დავუმატოთ, რომ სიტყვა „სამწუხარო“ მეტად მკრთალად გამოხატავს სინამდვილეს და იგი სავსებით ვერ შეიცავს ჩვენს სულიერს აღშფოთებას...

მაგრამ ბ. ამბერი გადმოგვცემს, ეხლა აღარ კმაყოფილდებიან დაშთენილის ტაძრებითა და ეკლესიებით და განზრახვა აქვთ გარუსების ბინად გადააქციონ ისეთი ადგილებიც კი, როგორიცაა ილორის ტაძარი, მეტად მდიდარი ისტორიულის ნივთებით და დიდად პატივცემული ადგილობრივ მკვიდრთაგან.

საჭიროა, ჩვენი საზოგადოება გულცივად და ჩვეულებრივის დუმილით არ შეხვდეს ამ განზრახვას და ხმა ამოიღოს ძვირფასი ნაშთების და ერის სარწმუნოებრივი თავისუფლების დასაცავად.

## სახელმწიფო სათათბირო
(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**7 დეკემბრის სხდომა**

**როძიანკო** თავმჯდომარეობს.

განსახილველ საქმეთა სიაში არის შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ქალაქის უფროსის მიერ სათათბიროს წევრის ბადაევის დაჯარიმების თაობაზე და საკანონმდებლო მოსაზრება საზღვარ-გარეთის პასპორტთა მიცემის წესრიგის შეცვლის თაობაზე.

თავმჯდომარემ წაიკითხა მეფის სამადლობელი დეპეშა მის დღეობის მილოცვის გამო.

სათათბირომ დეპეშა ფეხზე ადგომით მოისმინა.

განსახილველია სავაჭრო-სამრეწველოთა ერთი ხელიდან მეორეში გადასვლის წეს-რიგის კანონ პროექტი.

**მომხსენებელი სალაზკინი.** კანონპროექტის თანახმად სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა ერთი ხელიდან მეორის ხელში გადასვლა უნდა მოხდეს უეჭველად ნოტარიულის წესით, ნოტარიუსს უნდა წარუდგინონ სამრეწველოს კრედიტორთა სია; უნდა გამოქვეყნდეს ფირმის გაყიდვის ამბავი და ის, თუ რამდენი ვალი აქვს ამა თუ იმ ფირმას. უნდა დაწესდეს გამყიდველის და მყიდველის შორის შეთანხმებული პასუხისგება: საკანონმდებლო გზით უნდა მოწესრიგდეს სააღებ-მიცემო სესხის არანორმალური მდგომარეობა; ამ ბოლო ხანს გაკოტრება გადამდებ სენად გადაიქცა. სათანადო დამატებანი და შესწორებანი იქნება შეტანილი სასჯელთა დებულებაში: ღირსეულად დაისჯებიან ისინი, ვინც განზრახ რომელიმე კრედიტორის სახელს არ შეიტანს სიაში, ვინც ვალის რაოდენობას განზრახ დაჰმალავს და სხვა. კომისიამ სასურველად სცნო სააღებ-მიცემო სესხის მოსაწესრიგებლად მთავრობამ შეიმუშაოს ფირმებისა და მათი ალებ-მიცემობის რეგისტრაციის კანონ-პროექტი.

**გერასიმოვი.** კადეტების სახელით აცხადებს, რომ იგი არ არის კანონ-პროექტის არსებითი მხარის წინააღმდეგი, გარნა კანონ-პროექტის ზოგიერთ შეუსაბამობას აღნიშნავს.

**სავაჭრო განყოფილების უფროსი** კანონ-პროექტს იცავს.

**როსტოვცევი.** კანონ-პროექტის ძირითადი დებულებანი მიიღეს სრულიად რუსეთის საბირჟო ვაჭრობის ყრილობაზე, საცა სურვილი გამოსთქვეს უდიდესი სასჯელი დააწესონ ვალის გადაუხდელობისთვის; ვალის გადაუხდელობამ ამ ბოლო დროს მწვავე ხასიათი მიიღო, შარშან გადაუხდელ ვალის თანხა 170 მილიონ მანეთს უდრიდა. მოლაპარაკეს შესაფერისი ფორმულა შეაქვს.

**პარჩევსკიმ** კანონ-პროექტში მცირეოდენი დამატება შეიტანა.

სათათბირომ მიიღო კანონ-პროექტი პარჩევსკის დამატებით და კომისიისა და როსტოვცევის ფორმულებით.

**ზამისლოვსკი** მოხსენებას კითხულობს იმ კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც მოითხოვს ალექსანდრე მეორის სასამართლო რეფორმის თაობაზე საისტორიო თხზულების შესადგენ-გამოსაცემად საჭირო თანხის გადადებას.

**ეფრემოვი.** სასამართლოს დებულებით, ამ ბრწყინვალე ნაყოფს ადამიანის გონებისას, წილად ხვდა საშინელი განცდანი.

ყოველ ღონისძიებით უნდა ვაქებდეთ და ვადიდებდეთ 1864 წლის რეფორმას, მაგრამ იმავე დროს გვჭირდება გრძელი მარტიროლოგი ვწეროთ. სამინისტრო თხოულობს ფულებს, რათა დიდებულ რეფორმათა საისტორიო თხზულების სახით მიკერძოვებით დაიცვას თავისი გადამახინჯებული მოქმედებაო. თუ გვინდა საისტორიო ობიექტიური გამოკვლევა გვქონდეს, მისი შედგენა სამეცნიერო აკადემიას მივანდოთ (ტაში მარცხნივ).

**ზამისლოვსკი.** ეფრემოვის სიტყვით, კრებულის გამოცემა შესაძლებელია, მხოლოდ მისი შედგენა არ უნდა მიენდოს სამინისტროს, რადგანაც მან 1889 წლის რეფორმით დაამახინჯა სასამართლოს დებულებანიო. ნამდვილად კი სამინისტრო, მინისტრ მანასეინის სახით, წინააღმდეგი იყო საერობო უფროსთა შტატის შემოღებისა.

მოლაპარაკე კანონ-პროექტის მიღებას მოითხოვს.

**აჯემოვი** სრულიად ეთანხმება ეფრემოვს და თავის მხრივ უმატებს: სასამართლოს დამოუკიდებლობის დაკარგვის სანიმუშოდ საკმარისია მოვიყვანოთ კიევის პროცესი, საცა იმავე სესიას წვრილ საქმეთა გასარჩევად მოწვეულ იყვნენ ნაფიც მსაჯულებად ინტელიგენტური ძალები, ხოლო საისტორიო საქმეს სწყვეტდა ნაფიც მსაჯულთა აჭრელებული შემადგენლობა. სასამართლო ძრწოდა და კანკალებდა არა მარტო იუსტიციის მინისტრის წინაშე, არამედ მომჩივანთა წინაშეც.

**მასლენიკოვი.** მომხსენებელმა ვერ დაარღვია პროგრესისტების აზრი, რომ იუსტიციის სამინისტროს არ ძალუძს მიუკერძოებელ ისტორიის დაწერა იმ რეფორმის თაობაზე, რომლის დამრღვევიც პირველი თვითონ არის.

**კერენსკის** უკვირს, იუსტიციის სამინისტროს დაბალმა მოხელეებმა რა ისტორიას უნდა დაწერონ თვის მთავრობის მოქმედების შესახებ, როდესაც იციან, რომ რუსეთის მართლმსაჯულების ისტორიაში არის მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატების პროცესი, ვარვარინის სამართალი, ლიჟინის გამოძიება, კიევის საქმე. მართლ-მსაჯულების მესაფლავეებმა თვითონ უნდა აგონ პასუხი სასამართლოს დებულებათა წინაშე (ძლიერი ხმაურობა მარჯვნივ, ტაში და ხმაურობა მარცხნივ).

**თავმჯდომარე.** კერენსკის შენიშვნას აძლევს.

**მარკოვი მეორე.** კიევის პროცესი სულის სიმშვიდეს ურღვევს იმათ დამცველებს, ვინც აწამა უმანკო ბავშვი ანდრიუშა იუშჩინსკი (ხმაურობა მრცხნივ).

**კერენსკი** ადგილიდან: მკვლელების დამცველნი თქვენა ბრძანდებით.

**მარკოვი მეორე.** თქვენ მოჰკალით და არა მე.

მარცხნივ და მარჯვნივ ძლიერი ხმაურობა. მარცხნივ ხმები: სისხლის მსმელო! გაეთრიე! ლაპარაკის ნებას არ მოგცემთ.

**თავმჯდომარე** კერენსკის წესიერებას მოაგონებს.

**კერენსკი.** გამომრიცხეთ, გამომრიცხეთ!

**თავმჯდომარე.** იძულებული გავხდები სასტიკი ზომას მივმართო.

დარბაზში ხმაურობა ძლიერდება.

**თავმჯდომარე** თუ დაუყონებლივ არა დაწყნარდები, იძულებული ვიქნები სხვა ღონისძიებას მივმართო.

დარბაზი თანდათან წყნარდება.

**თავმჯდომარე** შენიშვნას აძლევს მარკოვ მეორეს, გააფრთხილებს მას მეორედ ასეთი შეუფერებელი სიტყვები არ გაიმეოროს სათათბიროს ტრიბუნაზე.

**მარკოვი მეორე.** ყველა პატიოსან კაცისთვის პატივსაცემი მინისტრი შჩეგლოვიტოვი გვაგონებს ჩვენ დიდ ხანს, რეფორმათა დროს, ვინც ამის წინააღმდეგ ძიდის, იგი სიმართლეს ჰღალატობს. მარკოვი აცხადებს: აღშფოთებული ვარ იმ პირთა დაცვით, ვინც ქრისტიან ბავშვის სისხლი დაჰღვარა.

**თავმჯდომარე** გადაჭრით სთხოვს, ნუ შეეხება ამ საკითხს.

**მარკოვი მეორე.** თქვენ არ აძლევთ ლაპარაკის ნებას მათ, ვინც არ გეთანხმებათ, ებრაელების გულისთვის თქვენ ყოველნაირ თავისუფლებას არღვევთ.

სათათბირო 110 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 91-სა, შეუდგა კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას, ამავე უმრავლესობამ კანონპროექტი სწრაფ - განსახილველად აღიარა და მესამედ წაკითხვის შემდეგ მიიღო.

უკამათოდ მიიღეს 12 კანონ-პროექტი.

თავმჯდომარემ წაიკითხა უმაღლესი ბრძანება დღესასწაულებისათვის სათათბიროს დათხოვნის თაობაზე. კრება დაიხურა.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ქალაქის მოურავის მოადგილე** თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, რომელიც ბაქოს იყო პოლიტეხნიკუმის საქმეთა გამო, გუშინ ტფილისს დაბრუნდა.

✦ **პოლიტეხნიკუმის გარშემო.** მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის საალმაშენებლო კომისიამ ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა საპოლიტეხნიკუმო მიწის გარშემო ორპირად ქანდარი ჩაჰყაროს და აგრეთვე გაიყვანოს ამ ადგილში გზები.

✦ **მეცხრე უბნის ბოქაული ლეგაშოვი**, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ახალ სენაკის მაზრის უფროსად გადაჰყავთ.

✦ **ხორცისა და პურის ნიხრის** გადასათვალიერებლად 10 დეკემბრისათვის ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის კრება არის დანიშნული.

✦ **ოქმები.** ქალაქის მესამე უბნის სავაჭრო ზედამხედველმა ე. ლომიძემ 8 დეკემბერს 11 ყასაბსა და მეპურეს შეუდგინა ოქმი ნიხრის დარღვევისათვის.

✦ **საფოსტო განყოფილება ხარფუხში.** ხარფუხის საზოგადო კლუბს აზრად აქვს, აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა ხარფუხში საფოსტო განყოფილება გახსნას.

✦ **სტიპენდიები.** ტფ. გუბერნიის თ.-აზნაურობა ქართულ სასოფლ.-სამეურნეო საზოგადოებასთან სტიპენდიებს აარსებს საგრონომიო პერსონალის მოსამზადებლად. სტიპენდიათა დებულების შესამუშავებლად 11 დეკემბერს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება არის დანიშნული.

✦ **საყინულეთა მოწყობის საქმის** მოღვაწეთა მეშვიდე კრების მომწვევ კომიტეტს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ 1,000 მან. გამოუგზავნა კრების მოსაწვევ ხარჯის გასასტუმრებლად.

✦ **წესდების დამტკიცება.** კბილის ექიმთა შემნახველ-გამსესხებელ კასის წესდება დაამტკიცეს. ამის გამო 10 ამ თვეს კბილის ექიმ ფიდლოტოვის ბინაზე დამაარსებელთა საზოგადო კრება შესდგება. კრებაზე მიწვეულნი არიან ყველანი, ვინც ამ პროფესიას მისდევს.

✦ **ბერძენთა საეკლესიო მამულების გასყიდვა.** წარმომადგენელს ქრისტეს საფლავის საეკლესიო მამულებისა არქიმანდრიტ პატრიკის დაევალა ქართლში არსებულ სახელდობრ სოფლებ დირბსა და ციხის ძირში მდებარე მამულების გასყიდვა. არქიმანდრიტმა პატრიკიმ უკვე გაგზავნა ამ სოფლებში შესაფერისი განცხადებანი.

✦ **თოვლი.** კვირას, 8 დეკემბერს, საღამოს ტფილისში მცირედ წამოთოვლა და თოვლი ისევ ჩქარა გადნა.

✦ რედაქციამ მიიღო „ჯეჯილის“ მე-11 ნომერი შემდეგი შინაარსით: ვანო სკოლიდან ბრუნდება (სურათი), ონავარი, ლექსი შიო მღვიმელისა, პატარა ხუროთ-მოძღვარი, ეკ. გაბაშვილისა, უცნაური თანაშემწე, კუდრაჭასი, ქრისტე ღმერთი და ყმაწვილი, ვანო საათაშვილისა, მებადურის ვაჟიშვილი, ზღაპარი (დასასრული) ი. მჭედლიშვილისა, მამლის ტურა (ფრანგულიდან) ა. ა—ი. წვრილმანი: გამოცანები, ზმა, ანაგრამა. ნისლი, ლექსი გ. ქუჩიშვილისა, ოჯახის ერთგული (თარგმანი) ანიკოსი, გალილეი, (რუსულიდან) ან. წერეთლისა, დიდების მაძიებელი (დასასრული) ალ. ფ—სი, ნავთის წყაროები, ბუნების მეტყველების მოყვარესი, ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა-ალვა ედისონი). შემდეგი. წვრილმანი: მეფე ერეკლე და გლეხი, შარადა და გასართობი.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ სექციების წევრებად, თანახმად წარსულ კრებაზე მიღებული ინსტრუქციისა, აირჩია: **სასკოლო სექციაში**—ლ. ბოცვაძე (თავმჯდომარედ) და ფ. მგელაძე, **საგამომცემლო სექციაში** — არ. ჯაჯანაშვილი (თავმჯდომარედ) და შალვა მიქელაძე, **ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების სექციაში**—შიო დედაბრიშვილი (თავმჯდომარედ) და იპ. ვართაგავა, **სამუზეუმო სექციაში**— დავით კარიჭაშვილი (თავმჯდომარედ) და სერგეი გორგაძე.

✦ **„კაპეიკის კავშირი“-ს საზოგადოების სასარგებლოდ,** რომელიც საკუთარ შენობას ყიდულობს, 13 დეკემბერს ქართულ თეატრში უკრაინული წარმოდგენა გაიმართება.

✦ **ახალ კლუბის** წევრთა საგანგებო კრების გაგრძელება დანიშნულია დღეისთვის, საღამოს 7 საათზე.

✦ ქალაქის საბჭოს **საბალნეო** კომისიის კრება 10 დეკემბრისათვის არის დანიშნული.

✦ **ქართულ კულტურის მოყვარულთა** საზოგადოება 20 დეკემბერს ჰმართავს სალიტერატურო-სამუსიკო საღამოს. სხვათა შორის მოჰხდება შეჯიბრება პოეტებისა, რომელთაგანაც პირველ ხარისხოვანი ლექსის ავტორი მიიღებს ზიჩისაგან დასურათებულს შოთა „ვეფხის ტყაოსანს“ ხოლო მეორე ხარისხოვანი ლექსის ავტორი ილია ჭავჭავაძის ახალს გამოცემას. ამიტომ საზოგადოება დაბეჯითებით სთხოვს ჩვენს ახალგაზრდა პოეტებს გამოგზავნონ ლექსები ამ ადრესით: Тифлисъ. Гунибская ул. № 43. გ. ჟორდანიას. ოღონდ ორი კონვერტი უნდა იყოს თვითოეული პირისაგან: ერთში ჩადოს ლექსი გვარ-მოუწერლად და მეორეში თავისი გვარი ჩასწეროს, ზევიდან ორივე კონვერტს დააწეროს ერთნაირი სახელი (დევიზი) და აღნიშნოს ისიც, თუ რომელში დევს გვარი, და რომელში ლექსი. უნდა გამოიგზავნოს 18 დეკემბრამდე.

### სასამართლო

✦ **„წითელი ოთახი“.** 20 დეკემბერს ტფ. ოლქის სასამართლოს პირველი განყოფილება გაარჩევს „რუსსკოე ზნამია“-ს რედაქტორის დუბროვინის საქმეს. რედაქტორს უჩივის ცილისწამებისათვის კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი იმის გამო, რომ ზემოხსენებულ გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილები ტფილისში აღმოჩენილ „წითელ ოთახის“ შესახებ, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ ოთახში დაიარებოდა აგრეთვე მზრუნველის ქალიშვილიო. ამ საქმის გამო სასამართლოში მოწმედ დაბარებული ჟურნალისტი ლევან ყიფიანი, რომლის წერილების მიხედვითაც, დუბროვინის სიტყვით, იყო შედგენილი „რუსსკოე ზნამია“-ში დაბეჭდილი წერილები. დუბროვინის რწმუნებულს აზრად აქვს, კვლავ აღძრას სასამართლოში მთელი საქმე „წითელის ოთახის“ შესახებ, რომელიც მანიფესტის ძალით მოისპო.

✦ **10 გლეხის გასამართლება** უკვე დასრულდა. ოლქის სასამართლომ ვასო გოგიაშვილი და ლექსო ჩუტკერაშვილი დამნაშავებად იცნო და ოთხ-ოთხის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა. დანარჩენები გაამართლა. გამართლებულთა სამსონ და ანდრია ჩუტკერაშვილებისა და გიორგი თიბილოშვილის საქმეს ბრალმდებელი სამოსამართლო პალატაში ასაჩივრებს.

**შეცდომის გასწორება.** გუშინ წინდელ ნომერში ფელეტონის მეოთხე სვეტში, თავიდან მეორე სტრიქონში სწერია: „დევნილია სინიდისი ნათესავისა, რომელი შევიდა ქვეყნად...“ უნდა იყოს: „დევნილია სინიდისი ნათესავისა. მოხუციც გადახვდავს მშობლის მიწას, სადაც „იხილა სიკვდილი, რომელი შევიდა ქვეყნად...“

### ფოთი

✦ ბესარიონ ზურაბის ძე დოლიძის გარდაცვალებამ ძლიერ დაადონა აქაური მუშები. დოლიძე რუსის სანაოსნო საზოგადოების მუშათა არტელს ურუშაძის შემდეგ მოიჯარადრედ ჰყავდა არჩეული და არავითარი ცუდი არ მიუძღოდა მუშების წინააღმდეგ.

### ბაქო

✦ აქაურ ნავთის მრეწველთა საბჭოს სკოლების მასწავლებლები დიდის ინტერესით შეეგებენ იმ ამბავს, რომ პეტერბურგში 23 დეკემბერს იხსნება სრულიად რუსეთის მასწავლებელთა პირველი კრება. რამდენიმე კრება მოახდინეს. დასწრეს მოხსენებები. აირჩიეს 5 დელეგატი. დელეგატებს საბჭო აძლევს გზის ფულს. თავის სურვილით კრებაზე დასასწრებლად 30 მასწავლებელი მიდის.

✦ ადგილ. ქ. მ. წ.-კ გ. ს. სკოლის მასწავლებელმა ნ. სულხანიშვილმა სამსახურს თავი გაანება, მის ნაცვლად განყ. გამგეობამ მოიწვია ქ-ნი გელოვანის ასული.

## სოფლების აყრა

ხმები დადიოდა, რომ საამილახვრო მამული „ტირიფონას ველი“ სამხედრო უწყებაზე გადადისო და სოფლების აყრას აპირებენო.

მეც ადგილობრივ დავიარე, მინდა ვაუწყო ქართველ საზოგადოებას ნახული და გაგონილი.

სამხედრო უწყება ჰფიქრობს შეიძინოს საამილახვროში „პოლიგონისათვის“ *) 15,000 დესეტინა მამული.

ეს მამული მდებარეობს შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით არტყია სოფლები: სობისი, დიდი ხურვალეთი, ახალშენი, ბერშუეთი და ორჩოშანი, დასავლეთით ჩამოუდის მდ. მტკვარი; სამხრეთით—სოფ. ქალა, ზაალიშვილების მამული და სოფ. კასპი; ჩრდილოეთით კი—ქ. გორი, სოფ. ახალსოფელი და ზედდულეთი. ამ საზღვრებში შედის „ტირიფონას ველი“ და „აშურიანი“, რომელიც მათ შუა გავლილია მოტვლეპილი გორები—საძოვრებით. სიგრძე-სიგანე 20—15 ვერსი იქნება.

ამ ზემოხსენებულ მამულში შემდეგი სოფლებია გაშენებული: უფლის-ციხე, ნაწრეთი, შავშვები, ნადარბაზევი, ნიგოზა, ზეგარდი, ზემო რენე, ქვემო რენე, გამდლის წყარო, კოდის წყარო, პატარა ხურვალეთი და ორჩოშანი. ამ სოფლებში ითვლება ექვსას კაცზე მეტი, თითქმის სულ ქართველები არიან, ცოტა სომხებიც და ოსებიც ურევიან.

გარეშე სოფლებიც სარგებლობენ ამ მამულით, მეტი წილი ოსობაა, 1,000 კომლამდე.

ამ მამულში სახაზინოდ ითვლება, ნადარბაზევი, კოდის წყარო, ნიგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზა, პატარა ხურვალეთი და უფლისციხე—ზომით 5,000 დესეტინამდე, აზნაურ ბასილაშვილებისა არის—1500 დესეტინამდე. გორის მამულიც შედის 800 დესეტინამდე. სოფ. რენეში, შაშვებში და ნაწრეთში ზოგი მამული სადლეხო ბანკს ეკუთვნის და ზოგი მემამულეებსაც ბანკებში აქვთ გირაოდ.

ამას გარდა „ამურიანის" მამულში მანთაშევმა რომ იყიდა თ-დ ამილახვრებისგან 1,200 დესეტინა, ეს მამულიც ამ ფარგლებში შედის. დანარჩენი მამული, რომელიც იქნება ვარაუდით 6,000 დესეტინა, ეკუთვნის მემამულეებს და არიან მონაწილენი: თ-დი სიფთო ერისთავი, თ-დი გიორგი ოთარის ძე ამილახვარი, თ-დი კოტე და გივი ივანეს ძენი ამილახვრები, თ-დი დავით ლუარსაბის ძე ამილახვარი, თ-დი გრიგოლ ამილახვარი, თავ. დიმიტრი ამილახვარი, თავ. გიგო ამილახვარი, თ-დი გიორგი ამილახვარი, თავადი გიორგი ამილახვარი, კნ. ნო მესხიშვილი, კნეინა ქეთევან ირაკლის ასული ამილახვრისა, თ-დ სოლომონ ჩოლოყაშვილი, თ-დი ი. დ. ფალავანდიშვილი, დ. ეგაძე, ილიოლ ნატროშვილი, ნინო ზანდუკელი და აზ. ქარუმიძეები.

აგრეთვე ზოგიერთი გლეხიც ურევია მესაკუთრეთ.

„ტირიფონას ველი" სახნავისათვის საუკეთესოდ ითვლება, სხვაგან რომ მოცდეს, „ტარიფონაში" მაინც მოვა ქინახული.

მემამულეებს ველაპარაკე გორში, ქალაში და შემდეგი გადმომცეს: ოქტომბერში ამ წლისა მაზრის უფროსისაგან ყველას დაგვირიგდა წერილები, სადაც გვთხოვდა: „შეგვატყობინეთ თქვენი სურვილისამებრ მამულის შეფასება" (ваша добровольная оцѣнка) მათ უპასუხეს: „ჩვენ არა გვსურს გავყიდოთ და თუ მთავრობისათვის საჭიროა, ჩვენ რა შეგვიძლიანო".

თითო ოროლა მათგანი წრფელის გულითა სწუხს და თანაც ამბობენ: უკვე პეტერბურგიდან გადაწყვეტილიაო, ჩვენ ვეღარას გავაწყობთო.

უნდა აჰყარონ შემდეგი სოფლები: უფლისციხე, ზეგარდე, ზემო და ქვემო რენე, ნადარბაზევი, ნიგოზა, შაშვები, ნაწრეთი და პატარა ხურვალეთი. დანარჩენი სოფლებს:—გამდლის წყაროს შიგ სჭრის მთელ მამულს, მას აღარა რჩება-რა: კედის წყაროს სოფელს შუაზე სჭრის; ორჯობანო, ახალშენს გაუვლის, ისე რომ მათაც აღარ ედგომებათ.

ამ ადგილებში 100,000 ჯარის კაცი უნდა დაბანაკოს სამხედრო უწყებამ ალღუმებისათვის და ჯარის სავარჯიშოდ. მდ. ლიახვიდან უნდა გამოიყვანონ სარწყავი რუ, რომელიც „ტირიფონას ველს" მოსარწყავად უნდა, გამოივლის ტორტლას ხევით და სოფ. იგუეთთან მდ. ლეხურაში ჩავა. რაც სითავეთ იქნება საჭირო, მას ცხენებისთვის გამოიყენებენ. გაიყვანენ გზებს, ავტომობილებით მოძრაობა დაიწყება. ტელეფონით შეაერთებენ გორს და რკინის გზის სადგურს მეტეხს.

გორელი ვაჭრები ხელს მოითბობენ, ყველაფერს ფასი დაედება, სანოვაგე აიწევს, ქირანახული გაძვირდება, თუ რომ ათი და ოცი ვაჭრობით გაკეთდება, — მეჯვრის-ხევის, ხელთუბანის, ზახასის, ქალის, კასპის და მეტეხის საზოგადოებები და მთლად ლეხურის ხეობა კი დაიმშევა.

მათ გახვითარებას გასაქანი აღარ ექნება.

Legatus.

## ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების კრება.

ხსენებული კრება გაიმართა კვირას, 8 დეკემბერს საზოგადოების კრა-კერვის სკოლაში. კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქ. ნ. ყიფიანისა, დაესწრო ორმოცამდე წევრი, გარდა ორი—სამისა სულ ქალები.

კრებამ ყველაზე უწინარეს განიხილა 1912—13 წლის ანგარიში და ხარჯთაღრიცხვა მომავალი წლისა. საზოგადოების მოღვაწეობა გამოიხატება იმაში, რომ აქვს გამართული საქალებო სკოლა კრა-კერვისა, რომელიც აგერ 18 წელიწადია არსებობს და მშვენიერადაც არის დაყენებული. თუმცა სკოლას ვიწრო სახელი აქვს კრა-კერვისა, მაგრამ სკოლაში ფართოდ ასწავლიან საზოგადო საგნებსაც. სკოლის განსაკუთრებული ღირსება ისაა, რომ ის წმინდა სახალხო დაწესებულებაა და ემსახურება მდაბიო ხალხს. მისი მოქმედება ყოველის მხრით თვალსაჩინოა და მეტად ნაყოფიერი. ამ ჟამად სკოლაში 193 მოწაფეა, რომელთაგან 84 წელს სეკტემბერში მიიღეს (აქედან 18 სრულიად უცოდინარი). საყურადღებოა, თუ რამდენი მოსწავლე, რომელი კუთხიდანაა: 71 არის ტფილისელი, 51 ქართლელი, 49 იმერელი, 12 კახელი, და სხ. ეროვნებით ასე განაწილდებიან: 8 სომეხია, 12 ოსი, ერთი რუსი, ხოლო დანარჩენი ქართველი; წოდებით—26 თ.-აზნაურია, 7 სამღვდელო წოდებისა, დანარჩენი გლეხის, ხელოსნის და მუშის შვილია.

სკოლა ერთსა და იმავე დროს სახელოსნოცაა და იღებს სამუშაოს გარეშე პირებისაგან.

საზოგადოებას გასულს წელს შემოსავალი ჰქონია 7652 მან. 21 კაპ., ხოლო გასავალი 4970 მან. 59 კაპ.—მდგომარე წლის შემოსავალი ნავარაუდევია 5050 მან. და გასავალი 5230 მან.

კრებამ მცირე კამათის შემდეგ დაამტკიცა ანგარიშები. შემდეგ გამგეობამ სთხოვა კრებას, ნება მოგვცეთ ვითხოვოთ წესდების პირველი მუხლის ისე შეცვლა, რომ მოქმედების ასპარეზი გავაფართოვოთ და არ იყოს მარტო ტფილისით შემოზღუდული, როგორც დღეს არის: ხშირად ხდება, რომ საზოგადოებაში კურს დამთავრებულ ქალებს სურთ სკოლების გახსნა სოფლად და შესაფერი ნებართვის აღება ვერ მოუხერხებიათო. კრებამ დაადასტურა გამგეობის თხოვნა.

სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს, დღევანდელი ბინა სრულიად შეუფერებელია და საჭიროა საკუთარის სახლის შეძენა. გამგეობა დიდი ხანია ცდილობს ასეთი სახლის ყიდვას ბანკის საშუალებით, მაგრამ დღემდის ვერა გაუწყვია-რა. ამიტომ გამგეობამ სთხოვა, კრებას განსაკუთრებული კომისიის არჩევა ხსენებული საქმისათვის. კრებამ მოიწონა კომისიის არჩევა და აირჩია მის წევრებად: რ. ამირაჯიბი, გ. ლასხიშვილი, კ. მაყაშვილი და ა. სარაჯიშვილი. ამასთანავე დაადგინა, რომ გამგეობამ თავის მხრითაც დანიშნოს გამგეობის რამდენიმე წევრი კომისიის წევრად. ამ კომისიას დაევალა შესაფერი სახლის გამოძებნა სკოლისათვის.

კრებაზე ხანგრძლივი ლაპარაკი იყო საზოგადოების საშუალებათა გაძლიერების შესახებ და ის აზრი გამოითქვა, რომ დიდად დაწინაურდება საზოგადოების ქონებრივი მდგომარეობა, თუ სახელოსნოს მეტი სამუშაო ექნება გარეშე პირებისაგან. ამისათვის საჭიროა შესაფერი პროპაგანდაო.

დასასრულ მოხდა გამგეობის სამი წევრის არჩევნები.

## მუშათა ცხოვრება

**უცხოეთში.** ლონდონში მოხდა ინგლისის ტრედ-უნიონების საგანგებო კრება. კრება მხოლოდ დუბლინის მუშების დახმარების საკითხის გადაწყვეტას მოუნდა, რომელნიც ხანგრძლივ ლოკაუტისაგან ძლიერ დაიჩაგრნენ. კრება ძლიერ ცხარე იყო. ამ კონფერენციას ორგვარი დახმარებაში ერთი უნდა აერჩია: ტრედ-უნიონიზმის უკიდურესი წარმომადგენელნი მოითხოვდნენ, რომ კრებას უეჭველად გაეგზავნა დუბლინის მრეწველთათვის მოთხოვნილება, რათა ლოკაუტი მოეხსნათ. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მიემართნათ მუქარისათვის, რომ ინგლისის მუშათა საერთო გაფიცვა იქნება გამოცხადებული.

მაგრამ ინგლისის პროფესიონალურ მოძრაობის მოღვაწეთ კარგად ესმოდათ თვისი პასუხისმგებლობა, რომ ასე ადვილად გადაეწყვიტათ ისეთი დიდი საქმე, როგორც ინგლისის მუშების საერთო გაფიცვაა. მიუხედავად იმისა, რომ ტრედ-უნიონისტები დიდის სიმპატიით ეპყრობიან დუბლინის ლოკაუტის მსხვერპლებს, კრებამ დიდის უმრავლესობით უარჰყო ეს წინადადება. ხმის მიცემა ხდებოდა, იმის და მიხედვით, თუ ყოველ წარმომადგენელს რამდენი კაცისაგან შემდგარ ორგანიზაციის წარმომადგენლობა ჰქონდა დაკისრებული. საკითხი უარჰყვეს 2,280,000 მანდატით 203,000 წინააღმდეგ. კრებამ დუბლინელებს თვისი თანაგრძნობა გამოუცხადა შემდეგი ფორმით. გადასწყდა, რომ ტრედ-უნიონების ყველა წევრმა გადაიხადოს კვირაში ერთი პენი (4 კაპ.), იმ ხნის განმავლობაში, სანამ დუბლინის ლოკაუტი იქნება. რადგანაც კრების დადგენილება სავალდებულოა 2,250,000 მუშასათვის, ეს ნიშნავს, რომ დუბლინელ მუშებს უზრუნველყოფილი აქვთ დახმარება 100,000 მანეთი ყოველ კვირეულად, სანამ ლოკაუტი იქნება. ამას გარდა ყოველ მხრიდან აუარებელი შემოწირულება მოსდით ამავე მიზნისათვის.

ზომიერი კონსერვატორი ინგლისელებიც კი სიამოვნებით ეგებებიან კრების გადაწყვეტილებას, რადგან ხედავენ მასში მშვიდობიანობის თავდებს და დუბლინის ცხოვრების მალე ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას.

**ლონდონი.** გლაზგოში ფოსტის დამხმარე 200 მუშა გაიფიცა. მუშები ჯამაგირის მომატებას მოითხოვენ. ამ ჟამად ინგლისის მომხმარებელ მუშათა შორის მოლაპარაკებაა. უკმაყოფილება ხელფასის სიმცირეს გამოუწვევია.

**პარიზი.** გერველში გაფიცულმა მუშებმა არეულობა მოახდინეს. არეულობის დაცხრომის დროს ორი ჟანდარმი და ორი მუშა დაიჭრა.

**სტრასბურგი.** ღამით კრონენბურგში ნაღმით ააფეთქეს საპნის ქარხანა. ქარხანაში მუშაობა არ სწარმოებდა. დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს.

**რუსეთი.** სახელმწიფო სათათბიროს ს.-დემოკრატებმა დეპუტატ-ბოლშევიკებმა მუშებს გადასცეს გამოსარკვევად, თუ როგორ მოეპყრობიან ისინი საკითხს რვა საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. უკანასკნელ დღეებში ეს საკითხი ირჩეოდა ყველგან მრავალ-რიცხოვან კრებებზე. მუშებს გამოაქვთ რეზოლიუციები, რომელთაც მხარს უჭერენ დეპუტატების ინიციატივას და მადლობას უძღვნიან. ცალკე ჯგუფებმა წინადადება შეიტანეს კრებებსა და კავშირებში მოაწყონ მთელი რიგი ლექციებისა მუშის ყოველდღიურ ჰირ-ვარამზე.

**გაფიცვა.** 2 დეკემბერს, პასალის ქარხანაში (პეტერბურგში), ლურსმნების განყოფილებაში გაიფიცნენ მომუშავე ქალები. ყველა გაფიცული 3 დეკემბერს დაითხოვეს.

## შავი-ქვის მრეწველთა კრება

7 დეკემბერს დაიწყო შავი-ქვის მრეწველთა მორიგი კრება, რომელსაც თავმჯდომარეობს სამოქო ინჟინერი **ა. ი. ცეიტლინი.** პირველ კრებას მცირე ხალხი დაესწრო, დაახლოვებით 30 კაცი.

**გ. ფ. ზდანოვიჩმა** ვრცლად განმარტა მოხსენება შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს მოქმედების შესახებ. მოხსენებას თითქმის მთელი კრება მოუნდა; კრებამ იგი მცირე შენიშვნების შემდეგ მხედველობაში მიიღო. სხვათა შორის ბ-ნმა ზდანოვიჩმა აღნიშნა, დაზარალებულ მუშების რიცხვი წლითი-წლობით მრავლდება და ამასთან განმარტა, რომ მიუხედავად ამისა, ასეთ მუშათა რიცხვი სამხრეთ-რუსეთის ქვა-ნახშირის დარგში ბევრად უფრო მეტია, ვიდრე შავი-ქვის მრეწველობაშიო.

მრეწველმა **ა. გაფრინდაშვილმა** განაცხადა, რომ სამთა-მადნო მთავრობა აფერხებს დაზარალებულ მუშათა საქმის გამორკვევას და ამ საგანზე ვილაპარაკებ მაშინ, როცა ინჟინერი ავდეევი კრებას დაესწრებაო. კრების გაგრძელება დანიშნულია 8 დეკემბრისათვის.

როგორც სჩანს, კრება დიდხანს გაგრძელდება, რადგან მრავალი რთული კითხვებია განსახილველი.

## ქუთაისის ამბები

არავის დავიწყებია უთუოდ, რა საშინელ სიბინძურეს წარმოადგენდა **ქალაქის საავადმყოფო,** როცა იგი ქალაქის შენობაში იყო. მაშინ საავადმყოფოს გამგენი ბოდიშს იმით იხდიდნენ, რომ ვიწრო და მოუწყობელ შენობაში ვართო, თუმცა არც მაშინ მესმოდა რა შუაში იყო შენობის უვარგისობა და მაგალითად ზეწარისა და ბალიშის პირის სიბინძურე, მაგრამ ხმას არ ვიღებდით. იმის მოლოდინში ვიყავით ახალ შენობაში საავადმყოფო სულ სხვა ნაირად მოეწყობა მეთქი.

2—3 დღეა მას აქეთ, რომ საგანგებოდ წაველი საავადმყოფოში ძველის ახალთან შესადარებლად. ეჭვი არ არის ბევრი სასიკეთო ცვლილება შევნიშნე, მაგრამ ქართული დაუდევრობა რო არ ეწნევოდეს საავადმყოფოს, არც იმის თქმა შეიძლება. მომვლელ ქალებს, მაგალითად, სუფთა წინსაფარები არა აქვთ. იგივე მომვლელ ქალებს, თავის ფეხსაცმელისთვის ქუსლი ჩაუკეცნიათ და ფშიტა-ფშუტით დადიან, რაც, ეჭვი არ არის, სამკურნალოდ მოსულთ ნერვებს ვერ გაუმაგრებს. საავადმყოფოში ის იდეალური სისუფთავე ვერ შევნიშნე ქვეშსაგების საცვალისა, ურომლისოდაც წესიერად მოწყობილი სამკურნალო წარმოუდგენელია.

ერთმა ავადმყოფმა შემომჩივლა, სახლიდან დავიბარე საბანი, რადგან აქაურს ბეწვი სცვივა; მეორე ლეიბს უჩიოდა—მაგარიაო. მესამეს გადავხედე და საკუთარი ბალიში და საბანი მოეტანა.

ყოველივე ეს წვრიმალია, საბნების უვარგისობა საავადმყოფოს გამგეს ბრალი არ არის, მაგრამ ეს წვრიმალები სახელს უტეხენ დაწესებულებას.

ამიტომ სამკურნალოს გამგეთა საწყენად—კი არ ვწერ ამ სტრიქონებს, არამედ მისთვის, რომ ჩემგან და იქნება სხვათაგან—შემჩნეული ნაკლულოვანებანი თუ სრულებით არა, ნაწილ-ნაწილად მაინც მოსპონ.

* * *

**მომღერალთა საზოგადოების** დაარსებას ქუთაისში ყველა აღტაცებით შეხვდა, რადგან ამგვარი დაწესებულების არსებობის სარგებლობა ყველასათვის ადვილი გასაგებია.

საზოგადოების გუნდმა გამართა რამდენიმე კონცერტი და რაც დრო გადიოდა მით უფრო თვალსაჩინო ხდებოდა, რომ გუნდი წინსვლის მაგივრად ერთ ადგილზე გაიყინა—წარმატება არ ეტყობოდა.

კავშირი, რომელიც პირველ ხანებში ემჩნეოდა გუნდსა და მის ლოტბართა შორის და ამ უკანასკნელთა და საზოგადოების მმართველთა შორის განმტკიცების მაგივრად მოდუნდა და უკანასკნელ ხანებში იქამდისაც მივიდა, რომ ერთს მეორისა არა ესმოდა-რა. საზოგადოების გამგეობამ აღუთქვა თავისი გუნდით მონაწილეობა ილია ჭავჭავაძის საღამოს გამგეთ და ნამდვილათ კი გუნდმა საღამოში მონაწილეობა არ მიიღო.

როცა მოვინდომეთ მიზეზის გაგება, გარკვეული ვერა გვითხრეს რა. ლაპარაკიდან ის დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ საზოგადოების მესვეურთა და გუნდის შორის არავითარი კავშირი არ არსებობს და გარდა ამისა გუნდში მონაწილენი ერთი აღმა იწევს, თურმე, მეორე დაღმა.

ეს მოვლენა, მეტი რომ არა ვსთქვათ, სამწუხაროა და ამიტომ საზოგადოების გამგეობა ვალდებულია ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ საქმის მდგომარეობას და კვლავ ფეხზე დააყენონ საქმე. უამისოდ ნუ ექნებათ იმედი, რომ საზოგადოების თანაგრძნობა დაიმსახურონ.

ელ. ს. კ.

## საკანონმდებლო დაწესებულებებში

**სათათბიროს დათხოვნა.**

სათათბიროს საშობაოდ 7 დეკემბერს დაითხოვენ. სხდომები 16 იანვარს განახლდება.

**ახალი ფრაქცია.**

სათათბიროში დაარსდა ახალი—„დამოუკიდებელთა ფრაქცია". ფრაქციას სათავეში უდგანან მიენდორფი და კარაულოვი.

**ოქტომბრისტთა ფრაქციის გათიშვა.**

ოქტომბრისტთა ფრაქციის მემარცხენე წევრები ფრაქციიდან გადიან. ფრაქციას უკვე 14 წევრი გამოეყო. მათ შორის არიან ოქტომბრისტთა თვალსაჩინო დეპუტატები: შიდლოვსკი, გოდნევი, ზვეგინცევი, ოპოჩინინი და სხვა:

ხომიაკოვი და ალექსენკოც აპირებენ ფრაქციიდან გამოსვლას. შესაძლებელია ოქტომბრისტთა ფრაქცია 30 კაცამ მიატოვოს.

ფრაქციიდან გამოსული წევრები სხვა და სხვა კომისიის წევრობასაც ანებებენ თავს. ამ ამბავმა ფრიად შეაშფოთა მემარჯვენე და ცენტრის ოქტომბრისტები.

2 დეკემბერს ღამე ოქტომბრისტთა ფრაქციის კრება მოხდა. მემარჯვენე ოქტომბრისტები მზად არიან ყოველგვარ დათმობას დასთანხმდნენ.

მათ უკვე მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც ნოემბრის კონფერენციის დადგენილებას ფრაქციისათვის სავალდებულოდ აღიარებენ. ჯერჯერობით საქმის ვითარება გამოურკვეველია. ამბობენ, გამოსული წევრები მეიენდორფის მიერ ახლად დაარსებულ ფრაქციაში შევლენო.

ფრაქციის თავმჯდომარე ანტონოვი თხოულობს, თავმჯდომარეობისაგან განმანთავისუფლეთო.

სათათბიროს კულუარებში ლაპარაკობენ: როძიანკო სათათბიროს თავმჯდომარეობიდან გადადგება, თუ ოქტომბრისტთა ფრაქცია ისევ არ გაერთიანდაო.

**კერენსკის საქმე**

როგორც ვიცით, იუსტიციის მინისტრმა სათათბიროს თავმჯდომარეს გაუგზავნა პეტერბურგის სოლექო სასამართლოს დადგენილება კერენსკის სამართალში მიცემის თაობაზე. საქმეს სათათბიროს შემადგენლობის კომისია განიხილავს. ამ კომისიის თავმჯდომარედ ოქტომბრისტთა ფრაქციის თავმჯდომარე სკოროპადსკია.

**მემარჯვენეთა ფრაქციაში.**

მემარჯვენეთა ფრაქციას მსჯელობა ჰქონდა რკინის გზათა მოსამსახურეების ნივთიერ მდგომარეობაზე. ფრაქციამ დაადგინა, სათათბიროში აღძრან საკითხი მათ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

## უცხოეთი

**ინგლისი.** „რეიტერის სააგენტო" იტყობინება, რომ ინგლისმა დიდ სახელმწიფოებს მიმართა, მოახდინონ საერთაშორისო სესხი 600,000 მანეთისა, რომლითაც დახმარება გაეწევა ალბანელებს. თითო სახელმწიფოს ხვედრი სესხი 100,000 მანეთი იქნება. რათა მსჯელობის დროს საკითხის გადაწყვეტა არ დაგვიანდეს, ინგლისმა წინდაწინ უკვე გაჰგზავნა ალბანეთში 50,000 მანეთი.

2 დეკემბერს ლონდონში დიდი მიტინგი გაიმართა, რომელიც მოაწყო საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ. სიტყვები წარმოსთქვეს: ჟორესმა, ვანდერველდემ, კეირგარდიმ, გერმანიის რეიხსტაგის დეპუტატმა მოლკენბურმა, აგრეთვე ანატოლ ფრანსმა, რომელიც ლონდონში ჟორესის თხოვნით დარჩა. მოლაპარაკეთ პროლეტარიატს მოუწოდეს, გავლენა იქონიონ თავის სახელმწიფოებზე, რათა უკანასკნელნი ეცადნენ ინგლის-გერმანია-საფრანგეთ შორის კავშირის შექმნას. მხოლოდ ასეთ კავშირს შეუძლიან შეაჩეროს შეიარაღების ზრდა და ევროპის მშვიდობიანობის უზრუნველყოფაო.

**საფრანგეთი.** წარსულ კვირას პარლამენტში პირველად გამოვიდა ახალი მინისტრ-პრეზიდენტი დუმერგი. „ბერლინერ ტაგებლატი" ამის გამო სწერს: ბურბონების სასახლის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. დუმერგის გამოსვლას, მთავრობის სკამებზე მარცხნივ სალამით მიეგებნენ მარჯვნივ კი ხმაურობით. მას შეშფოთება ეტყობოდა. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა კაიოც, რომელსაც მტრულად შეხვდნენ. დეკლარაციის კითხვამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დეპუტატებზე, რადგან გარკვეული და ნათელი იყო. დუმერგმა განაცხადა: კაბინეთს განზრახვა აქვს ქვეყნის მართვა-გამგეობაში მხოლოდ მემარცხენე რესპუბლიკელების უმრავლესობას დაემყაროს. ამ განცხადებამ მემარცხენეთა შორის ოვაციები გამოიწვია. მემარჯვენენი დაცინვით შეხვდნენ.

## რუსეთი

**პოლიციის რეფორმა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშით, თანახმად პოლიციის რეფორმისა, პოლიციის მოხელეთა რიცხვი 108,318 იქნება. ამაში 42,459 იქნება ქალაქის პოლიციის მოხელე, 65,859—სამაზრო.

ქალაქის პოლიციაში იქნება 32,163 პოლიციელი, 2,859 უბნის ზედამხედველი და 1730 ბოქაული თანაშემწეებით.

სამაზრო პოლიციაში იქნება 44,467 ჩაფარი, 990 ისპრავნიკი თანაშემწეებით, 2,882 ბოქაული თანაშემწეებით და 10573 უფროსი ჩაფარი.

სამაზრო და საქალაქო პოლიციის შესანახად ნავარაუდევია 60,715,500 მანეთი, აქედან სამაზრო პოლიციაზე მოდის 37,4 მილიონი მანეთი, საქალაქოზე—23,3 მილიონი მანეთი.

თვითოეული მოხელე ხაზინას საშუალოდ დაუჯდება 560 მანეთად, 4 ქალაქში პოლიცმეისტრები სულ ბევრი—5,000 მანეთად, პოლიციის დაბალი მოხელენი სულ მცირედ—200 მანეთად.

**პოლონელ ახალგაზრდობის შეპყრობა.**

2 დეკემბერს ღამით კიევში კურსების მსმენელ პოლონელ ქალის ბინაზე ჟანდარმებმა ჩხრეკა მოახდინეს და დააპატიმრეს 11 ახალგაზრდა კურსების მსმენელნი და სტუდენტები. დაპატიმრებულნი ციხეში გაგზავნეს. დაპატიმრებულთა ბინები გაჩხრიკეს. იპოვნეს პროკლამაციები და ნება-დაურთველი ლიტერატურა.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**8—9 დეკემბერი.**

**უცხოეთი.**

**სიდნეი.** ამბრიმის კუნძულზე ვულკანის ამოხეთქვის გამო 400-მდე მკვიდრი მცხოვრები დაიღუპა.

**რომი.** „ჯიოკონდას" რომში გაჰგზავნიან. სურათს რომში სახალხო განათლების სამინისტროში გადიტანენ. ამბობენ, მეფე დაათვალიერებს სურათს, და შემდეგ საფრანგეთის ელჩი ჩაიბარებსო.

**მადრიდი.** მაროკოდან იტყობინებიან: ადგილობრივი მცხოვრებნი თავს დაესხნენ ესპანიის გარნიზონს ყვითელ მთაზე, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. ესპანელებს მოუკლეს ორი კაცი, დაუჭრეს—11.

**ათინა.** მეფის ბრძანებით დაარსდება არსებულ კორპუსისთვის სამაგალითო კორპუსი.

**თავრიზი.** რუსეთის საწინააღმდეგო აგიტაცია საგრძნობლად მინელდა. მიზეზი სამხედრო პატრულის დანიშვნაა.

**ტოკიო.** ჩინეთის მთავრობამ გადასახადთა რეორგანიზაციის საქმისთვის მრჩეველად იაპონიის ორი მოხელე მოიწვია.

**პარიზი.** ფინანსთა მინისტრმა კაიომ მინისტრთა საბჭოში განაცხადა, რომ იგი საფინანსო პროექტთა რედაქციას შეიმუშავებს სადღესასწაულო ვაკაციების დროს და 1914 წელს პალატის მორიგ სესიაში შეიტანს. ირწმუნებიან, რომ კაიოს სესხის აღებას აპირებს, ვალის სარგებლის კაიო გაისტუმრებს კეთილ შენაძენ ქონებათა გადასახადიდან.

**სოფია.** მემამულეთა პარტიის კონგრესის გამო ოფიციოზი „ნაროდნი პრავა" სწერს: იმედი გვაქვს, კონგრესი თვისს სახელმძღვანელოდ სადღეისო საჭიროებათ აიასახავს და დათმობის პოლიტიკას დაადგებაო. ბულგარეთს რადიკალური რეფორმების ესაჭიროება, მაგრამ მისთვის ძლიერი მთავრობაც არის საჭირო, რათა საგარეო პოლიტიკას სათანადო მიმართულება მისცეს. რეფორმათა დაგვიანება სახელმწიფოს დიდ ვნებას არ მოუტანს, მაგრამ საგარეო პოლიტიკაში ერთ ხელსაყრელ მომენტის ხელიდან გაშვება, სახელმწიფოს უფსკრულის პირას მიიყვანს.

**რომი.** „ჯიოკონდა" რომში ჩამოიტანეს და სახალხო განათლების სამინისტროში მოათავსეს. მეფემ სურათი დაათვალიერა.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. პალატა მსჯელობს მინისტრ-პრეზიდენტის განმარტების თაობაზე დეპუტატ სტაპინსკის საქმის გამო. კამათში მონაწილეობენ გალიციის პარტიისა და ჩეხელ სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელნი. გალიციის პარტიის წარმომადგენელნი სასტიკად ჰგმობენ პოლონელთა კლუბს დ მინისტრ დლუგოშის მოქმედებას. პოლონელთა კლუბის თავმჯდომარე ლეო სინანულს გამოსთქვამს, რომ საიდუმლო თანხიდან ფული გაიღეს დეპუტატებზე გავლენის მოსახდენად. ლეო ენერგიულ პროტესტს აცხადებს პოლონელთა კლუბის შინაურ საქმეებში ჩარევის გამო.

სტაპინსკი კვლავ იმეორებს, რომ დლიუგოშისაგან მიღებული ფული პარტიის საქმეებს მოანდომა; იგი ამბობს, რომ არ ვიცოდი, საიდან იყო აღებული ეს ფული.

**პარიზი.** „ჟურნალ-დე-დება" სინანულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ გავრცელებულ ხმების მიხედვით საფრანგეთის ელჩი დელკასე ელჩობას თავს ანებებსო. გაზეთი წინადადებას იძლევა დელკასეს მემკვიდრედ ისეთი კაცი აირჩიონ, რომელიც პეტერბურგში დიდხანს დაჰყოფსო.

**რომი.** პეტერბურგის სააგენტოს ცნობით, იტალიის მთავრობა მანამდე არ მისცემს ინგლისს პასუხს კუნძულთა ბედის თაობაზე, ვიდრე სამთა კავშირის სახელმწიფოების არ მოელაპარაკება.

**რომი.** დეპუტატთა პალატაში ფინანსთა მინისტრმა მოხსენება წაიკითხა იტალიის საფინანსო მდგომარეობაზე; მინისტრის სიტყვით იტალიის ფინანსიური მდგომარეობა სანუგეშოა.

**ლაიპციგი.** სავაჭრო პალატის მოწვევით პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა მარკოვმა ბირჟის დარბაზში მოხსენება წაიკითხა რუსეთის საფინანსო და საეკონომიო მდგომარეობის შესახებ. სხდომას ათასს კაცზე მეტი დაესწრო. კრების თხოვნით პალატის თავმჯდომარემ მისალმების დეპეშა გაუგზავნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კოკოვცევს.

**პარიზი.** „რადიკალი" სწერს: რადგანაც ბარტუს კაბინეთმა ფორმალურად მიიღო სერბიისა და რუსეთის სარკინიგზო სესხთა ვალდებულებანი, ახალი კაბინეთი მოვალე არის ეს ვალდებულებანი შეასრულოს.

**რომი.** სან-ჯულიანოსა და სხვათა

თანადასწრებით „ჯიოკონდა“ საფრანგეთის ელჩს გადასცეს.

**სტოკჰოლმი.** მინისტრ-პრეზიდენტმა სტააფმა კარლსკრონში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. სტააფმა სთქვა: საჭიროა ჩვენმა სამშობლომ ნეიტრალიტეტი დაიცვას, ყველა სახელმწიფოსთან კარგ განწყობილებაში იყოს და არც ერთს ძალიან არ დაუახლოვდესო. ჩამოსთვალა ყველა ღონისძიებანი, რის მიღებაც საჭირო არის სამშობლოს უზრუნველსაყოფელად.

**რ უ ს ე თ ი**

**იალტა.** კოკოვცევი აქედან გაემგზავრა.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა მინისტრთა საბჭოში კანონპროექტი შეიტანა სამაზრო და გლეხთა საქმეების საკრებულოს თავმჯდომარეთა და მდივანთა ჯამაგირის მომატების შესახებ.

**სევასტოპოლი.** რუმინიაში დაპატიმრებულნი 4 მეზღვაური, რომელთაც „პოტიომკინის“ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს, საზღვაო სასამართლომ გაასამართლა და სხვა და სხვა ვადით მიუსაჯა გამასწორებელი რაზმი.

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების საკითხთა განსახილველ სრულიად რუსეთის კრების საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებს, რომ კრებაზე დასწრების მსურველთა ჩაწერა შეწყვეტილიაო.

**კიევი.** ორ წელიწადს პოლიცია იძიებდა სამხედრო ბეგარისაგან განმანთავისუფლებელ ორგანიზაციის მოქმედებას. ამ ორგანიზაციას მუდმივი ბინა მოუპოვებია სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ამ ორგანიზაციას ფართე კლიენტურა ჰქონდა. ამის გამო ღამით 18 კაცის ბინა გაჩხრიკეს; პოლიციამ ხელთ იგდო დიდ-ძალი მიწერ-მოწერა. ორგანიზაციის მოქმედებაში მონაწილეობდნენ ექიმები და ფერშლები. გამოძიება სწარმოებს.

## თეატრი და ხელოვნება

ცოტა ხნის წინედ ქუთაისში მომიხდა ყოფნა. იქ ქართულ თეატრში შევხვდი ძველ ნაცნობს, აფიშების გამკვრელს და ქართული თეატრის კაპელდინერს „შუხას“. შუხა მისი სახელია, მაგრამ ამ სახელით მას მთელი ქუთაისი იცნობს, გვარი კი უმეტესობამ არ იცის. შუხამ ინატრა ძველი „დრო: ეხ, რა დრო იყო! დამიკრავდა ვ. აბაშიძე დეპეშას; რიონის სადგურზე შეხვდებოდნენ მას თაყვანისმცემლები ეტლებით; მაშინ რკინის გზა ქუთაისამდე გაყვანილი არ იყო. ბილეთები კი მაშინვე გაიყიდებოდა, როგორც ანონსს გამოვაკრავდით“-ო. მართლაც კარგი დრო იყო. არც კინემატოგრაფი, არც ოპერა, არც კონცერტი და სხვა რამ არ ეცილებოდა ქართულ თეატრს. „შუხა“ აკეთებდა საქმეებს. როგორც უნდა ჩაევლო პიესას, სულ ერთი იყო; საკმარისი იყო ისიც, რომ სცენაზე ვ. მესხიშვილი ან ვ. აბაშიძე გამოვიდოდნენ. მაგრამ წავიდა ის „აწ ნეტარ ხსენებული მსახიობთათვის“ დრო, როდესაც „შუხას“ ანონსები საკმარისი იყო. ეხლა თეატრს მიზანი და საქმე უფრო გაურთულდა, რადგან, თუ დრამა საუკეთესოდ დადგმული და წარმოდგენილი არ არის, მას მაყურებელი გაურბის კინემატოგრაფში და კაბარეებში. ასეთი „დრამების“ დადგმას კი, როგორიც „ორი გმირია“ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და თავის სიყალბით ისინი სიცილს იწვევენ მაყურებლებში; მაგრამ, თუ ისინი შესაფერად დადგმული და შესრულებული არ არის, მაშინ ნამდვილი „ვამპუკაა“ ხოლმე, მხოლოდ სხვა დეკორაციებით და მიზანსცენებით. ასეთი „ვამპუკა“ წარმოგვიდგინეს ქართული დასის მსახიობებმა შაბათს, 7 დეკემბერს და ჯერაც ვერ გაგვიგია, რად დასჭირდათ იგი. ვ. გუნიამ (ლევანი) და ქ-ნმა ქიქოძემ (დუდუხანი) სრულებით როლები არ იცოდნენ; მათ ისე აურიეს რეპლიკები, რომ თითონაც ვერ არჩევდნენ, პარტნიორის სათქმელ სიტყვებს ამბობდნენ თუ თავისას. ხალხმაც ხომ სულ ვერაფერი გაიგო. როლის უცოდინარობამ აიძულა ისინი გვერდგვერდ ეთამაშნათ, რათა ცალი ყური მათი მუდამ სუფლიორისაკენ ჰქონოდათ მიპყრობილი. „ეთამაშნათ“-ო ვსთქვი, მაგრამ ეს სწორი არ არის, ძნელია მაშინ თამაშზე ფიქრი, როდესაც მთელი გონება სუფლიორისკენ არის მიპყრობილი. გარდა ამისა ქ-ნმა ქიქოძემ ხალხს ზურგი არას დროს არ უნდა შეაქციოს, რადგან მაშინ მისი ნალაპარაკევი სრულებით აღარ ისმის. შალიკაშვილმა და ქ-ნმა მდივანმა ხელი შეუშალეს „ანსამბლს“, მით რომ როლები კარგად იცოდნენ. დანარჩენებს ამ მხრივ არა უშავდათ რა, მხარს უმშვენებდნენ ვ. მესხიშვილს, გუნიას და ქ-ნ ქიქოძეს. მიზანსცენებიც ვამპუკისებური იყო. გომელაური (დარაჯი) მარცხნივ გასძახებს: „ვინა ხარო“ და იქით იყურება. ურუშაძე კი (მწყემსი) მარჯვნივ შემოვა. უკანასკნელ მოქმედებაში გომელაური, ურუშაძე ვითომც ხეებს მოჰფარებიან და გვერდში მდივანმა (დესპინე) ძლივს გამოუარა მათ და ვითომც ვერ შეამჩნია. მეფის წინ მისი მეომრები ისე იქცეოდნენ, ხტოდნენ და ჰყვიროდნენ, თითქოს მეფე კი არა, მოჯამაგირე სდგას მათ წინაო. მართალია, კარჩხალის მთებზე შეიძლებოდა ნედლი შიშაც ყოფილიყო, მაგრამ მგონი იმ დროს იქ რუსები არ იყო და „давайте“, „что вы дѣлаете“-ს არ ამბობდნენ ისე ხმა მაღლა, რომ არამც თუ დარბაზში მყოფნი, არამედ ოსმალებიც კი გაიგონებდნენ. დრამამ ხალხი ბევრი აცინა.

სამაგიეროდ ძლიერ საინტერესო იყო მეორე პიესა „კრეჩინსკის ქორწინება“, თვით პიესა არაფერს შეიცავს საინტერესოს, მაგრამ საინტერესო იყო ვ. მესხიშვილის მიერ რასპლუევის როლის შესრულება. და მართლაც, მისმა თამაშმა ყველანი ფრიად ასიამოვნა. ყოველმა მდიდარმა, რომელმაც კრეჩინსკის შეაჭამა თავისი სიმდიდრე, კაცმა დამონავებულმა, რომელიც აუტანელ მდგომარეობაშია თავისი სივაგლახის გამო, რომელიც კლუბებში თამაშობს ბანქოს და „შულერობს“, რათა თავის „პატრონ“-ს ფული მოუტანოს, პირუტყვული ადამიანი, რომელიც ამბობს: „ოღონდ კი მაჭამეთ და რამდენიც გნებავსთ მიბრაგუნეთო“—საუკეთესო გამომხატველს პოულობს ვ. მესხიშვილში. ვ. მესხიშვილი ხაზს არ უსვამს რასპლიუევის გაუთლელობას და მუტრუკობას, იგი გარეგან ეფექტებით არ ახდენს მაყურებლებზე შთაბეჭდილებას, რომელიც მაგალითად ბევრი შემსრულებელი და მათ შორის მსახიობი ბოროზდინი, რომელმაც ამას წინედ ითამაშა კლუბში ესევე, ხოლო ბოროზდინმა დასახა გაუთლელი, ხეპრე რუსი კუჩერი ან მაწანწალა, რომელმაც არ კი იცის ჩაის დალევის შემდეგ, ჭიქა სად დადგას. ეს შემცდარია: რასპლიუევი ყოფილი მდიდარია, კლუბებშიაც დაიარებოდა ‖ ოჯახებშიც და შეუძლებელია ხეპრედ ჩავთვალოთ. მხოლოდ იგი დამონებულია და ბეჩავი სულით. აი სწორედ ამისთვის მიუქცევია ბ. მესხიშვილს უმთავრესი ყურადღება და როლის ფსიქოლოგიურ მხარეს მეტ ყურადღებას აქცევს. ამიტომაა მის მიერ შექმნილი ტიპი საუცხოა, მთლიანი. ზარდალიშვილს (კრეჩინსკი) ერთს ვურჩევთ: ცუდია სხვისი მიბაძვა. მიბაძვასაც შრომა სჭირია. ჯას, ყველაფერი ტუგნოვისაგან აულია, გრიმიც კი, თუმცა ის გრიმი ისევე უხდებოდა მას როგორც „ძროხას უნაგირი“ კ. მესხი ხელების ქნევით თამაშობდა. მესხიშვილი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. **მელანი.**

P. S. „სიმახინჯის“ რეცენზიაში სიჩქარის გამო გამოგვრჩა ვ. გუნია, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით. ვ. გუნია ილიკოს როლს ასრულებდა. ეს როლი მისთვის შეუფერებელია, ილიკო სოფლის შვილია, ახალგაზდა, ჯან-ღონით სავსე, იგი თვით ბენედაა. ვ. გუნიას სიმსხვილე კი წინააღმდეგს ამტკიცებდა და მისი ქოშინი—იმას, რომ სასროლ ბადეს იგი ერთხელაც ვერ გაშლიდა, ან თუ გადისროლდა, თითონვე მოიხვევდა თავზე. **მ.**

## პასუხი ალფეს დავითულიანს.

გუშინდელ ნომერში თქვენ მეკითხებით, თუ რა არის მიზეზი, რომ ამდენ ხანს თქვენი (ბუგეულის) მოამხმარებელი საზოგადოების წესდება არ იქნა დამტკიცებული. მოგახსენებთ: თქვენი წელიწად ნახევარია, და არის ისეთი საზოგადოებები, რომლების წესდება უფრო ადრე იქნა წარდგენილი და ჯერაც არ არის დამტკიცებული. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ წესდება სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში დამტკიცდა. ეს საკთხი იმდენად საყურადღებოა და მიზეზები ასეთ მოვლენათა იმდენად საინტერესო, რომ მე კარგა ხანია განვიზრახე ამის შესახებ სპეციალური წერილების მოთავსება რუსულ-ქართულ გაზეთებში. თავისუფალი დროს უქონლობა მიშლიდა ხელს ამ მოკლე ხანში „სახალხო გაზეთში“ მექნება დაწვრილებითი ცნობები ამის შესახებ.

**იასონ გაბილაია.**

## შემოწირულება

ბატონო რედაქტორო! ამასთანავე გაახლებთ 29 მან. 65 კ. შეგროვილ სადგურ ევლახში და გთხოვთ გადასცეთ წ.-კ. გამ. საზ. თელავის განყოფილების საზოგადოებას, ღარიბეს მოწაფეების დასახმარებლად. ამასთანავე გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემომწირველთა სია.

ზაქარია დავითისძე თოიძემ 3 მ., ორ ორი მანეთი: სანდრო გიორგის ძე ზურაშვილმა, ქრისტოფორე მინ. აბაშიძემ, ილიკო ბეჟ. ქურციკიძემ, თითო მანეთი; არქიპო ლევ. კარსანიძემ ნიკო გოგსაძემ, ნიკოლოზ დავ. ძიძიგურმა, თედო ნაცვალოვმა, ანდრია თედ. ნოდიამ, ონიფანტე ჰოლოკავამ, თედორე ცხვედიანმა, მარკოზ ბერიამ, მიხეილ დანელიამ, ლევან ბოკუჩავამ, ალვანელმა, სანაძემ, ჩხეიძემ, შიშინაშვილმა, ათ-ათი შაური; ბათლომე ხაჟონიამ, გრიგორი ჯიქიამ, კონსტანტინე ალერწიანმა, გიორგი ზურაშვილმა, სერებრიაკოვმა, ვერმიცანიძემ, გვარი ვერ გავარჩიე (რუსი არის), სილოვან ჩხაიძემ, მიხეილ ნიკოლაიშვილმა 30 კ., მწვანე ყვავილელმა 35 კ., ისაკაშვილმა 30 კ., A. Сановъ-მა 20 კ., ვლადიმერ ებრალიძემ 30 კ., ქუთათელაძემ 20 კ., სულ 29 მ. 65 კ.

**ზაქარია დავითის ძე თოიძე.**

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი


## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საგ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **საგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 30 წ.

**ყარსისკენ:** **საგ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათუმიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

**ჯულფიდან** № 4/3 **საფოსტო** 7 საათსა და 23 წუთსა საღამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 **პ. ფოფინაშ-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიკის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## ექიმი ვ. ა. მიძელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

## ექიმნავაგარდიანის

### პირველი კერძო

### სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება

**კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიანი:** 10—11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**კ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. სალამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. აგეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის

1004 დოქტორი ბ. ა. ნავახარდიანი.

## ფეხსაცმელები

## თომა დ. ჯახუარაშვილის

**მაღაზია სახელოსნოში,**

მუხრანის ქ. № 2.

მიღებულია ახალი ზამთრის სეზონის საქონელი, ვარშავის და პეტერბურგის მექანიკური ნაწარმოებისა. ფასები საფაბრიკოა.



855

## სამშობიარო თავშესაფარი

## თუხარელისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

**გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

## ექიმი გ. მუხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

## Верійская паровая баня

**ვისაც გსურთ ბანაობა, მობრძანდით და იბანეთ**

## ზ. ი. აბრამაშვილის

## აბანოში

**ევროპიულად მორთულ ორბელიანის აბანოში**

**ვერის დაღმართზე,** (Верійскій спускъ, № 7),

ქალაქის შუა ადგილას, საიდანაც ტრამვაის საშუალებით ყველა დაწესებულებას ადვილად და იაფად მისწვდებით.

გვყავს ქართველი და სპარსელი გამოცდილი მექისეები.

**განათებულია ელექტრონით.**

**ღია არის დილის 6 ს.-დან ღამის 12 ს.-დე, ხოლო კვირაობით—დილის 6 საათიდან ნაშუადღევ. 2 საათამდე.**

საერთო ნომრები ცალ-ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის 20 კ. ცივი და ცხელი დუში სტოვაბლე-აზნაურო საკუთრებში 40 კაპ., ხოლო მოსწავლეებისათვის 30 კ. ვანები აბონემენტები (გრადუსით) 30 კაპ. ნომრების ფასი 60 კ. 1—50 კ. გვყავს პარიკ-მახერი კვირა დღითაც საათის ორამდინ. 1602

„გ ა მ ო ც ე მ ა ს ო რ ა პ ა ნ ი ს ა“

**დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად დასურათებული**

## კედლის კალენდარი 1914 წ.

**შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ**

**ფ ა ს ი 40 კ ა პ.**

**კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი საღებავით სუფთად და ლამაზად.**

## სახალხო კალენდარი 1914 წ.

**დ ა ს უ რ ა თ ე ბ უ ლ ი**

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ

**ფ ა ს ი 20 კ ა პ.**

კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან. ვისაც პარტიით ყიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: ტფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“

1592.

## მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

**მმ.**

## ძმებელოვები.

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

**ახალ-ახალი**

მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

**აგრეთვე იყიდება მაილოვის**

## ხიზილალა.

**კოლოფით ქილა და ხმელი სოკო** აგრეთვე ყოველ დროს იყიდება **მაღაზიაში მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები** და სხვა ყოველნაირი **თევზეულობა** და

## კონსერვები.

1560

**გამოსულია და იყიდება**

## ი. გედევანიშვილის პიესა

## „გ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის

**საწყობში შემდეგი გამოცემანი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ყუბანეიშვ. პირველდაწყ. დარიგ. საღვთ. სჯ. სწავლებაზე, | ფ. | ყდით | 30 კ. |
| ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია | „ | „ | 40 „ |
| ხუნდაძე. ქართული გრამატიკა. | „ | „ | 60 „ |
| მისივე. მოკლე ქართული გრამატიკა | „ | „ | 20 „ |
| ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა. | „ | „ | 20 „ |
| რობაქიძე. სამშობლოს აღწერა. | „ | „ | 50 „ |
| „გუთანი“. ქართული სახელმძღვანელო | „ | „ | 85 „ |
| გერსამია მღვდ. ლოცვანი, | „ | „ | 10 „ |
| დათეშიძე. წერის დედანი, | „ | „ | 25 „ |
| კიტა აბაშიძე. ეტიუდები მე XIX საუკ. ქართ. ლიტ. შესახებ, | „ | „ | 70 „ |

აქვე იყიდება **ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები.** პროვინციის წიგნის მაღაზიებსა და სასწავლებლებს ეძლევათ დიდი შეღავათი. გვერდით გამართულია სპეციალური კანცელარიის მაღაზია **დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება სასწავლო და საკანცელარიო ნივთები **ძლიერ იაფად.** ამ ჟამად აქ მიღებულია მრავალი სავიზიტო „კარტოჩკები“ და **კალენდრები 1913 წლისათვის.**

ადრესი: Кутаисъ. Книжный магазинъ Т—ва К. Оцхели. 1621

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი

## საბუღალტრო კურსები

(საღამოსი),

## რ. ზ. რომანოვისა,

(1908 წ. დაარსებული).

ტფილისი, ჩერქეზიშვილის (ავჭალის) ქუჩა № 47, ტრამვაის სადგურთან, მე-3 სამოსამართლო განყოფილების მახლობლად.

**კურსი 5 თვიანია, ყოველ-დღიურის მეცადინეობით.**

**სწავლა იწყება 1914 წ. 2 იანვრიდან.**

ამზადებენ **ორივე სქესის** პირთ სავაჭრო-სამრეწველო და საფინანსო დაწესებულებაში თანამდებობის მისაღებად და აძლევენ **სპეციალურ საკომერციო ცოდნას** საბუღალტრო და სხვა საკომერციო მეცნიერებიდან. პრაქტიკული მუშაობა ბუღალტერიისა და კორესპონდენც. სწარმოებს კურსებთან მოწყობილ სპეციალურ კანტორაში, **სატახტო ქალაქების კურსების მიხედვით, თვალსაჩინო წესით,** მასალა აღებულია ცხოვრების სინამდვილიდან (**სავაჭრ. დოკუმენტ. და სხვა ფორმ.**), და სავალდებულოა აწარმ. ანგარიშები ერთ-თვიან რთულ წარმოებათა, როგორც საზოგადოდ სავაჭრო ბანკის ანგარიშებისა სავალდებულო საგნები: 1. ა) ბუღალტერია, უბრალო, იტალიური (ორმაგი), გერმ., ამერიკ., ფრანგ., ინგლის. კამერალ. და რუს. (სამმაგი) (პრაქტ. მუშაობით ყოველ სისტემაში). ბ) **ანგარიში:** საზოგადო სავაჭრ. საქარხ. ბანკის შემნ. გამს. და საკრ. ამხ. ნავთ-მრეწვ. და დაზღვევისა. ანგარიშის წარმოება კარტ. სისტ. 2) კომერც. არითმ. 3) **სავაჭრო უფლება.** 4) თამასუქ. უფ. 5) კომ. კორეს. (თეორია და პრაქტ.), 6) არითმ. საანგ. ჩოთქზე, (კომერც. და მეთოდ. გამოანგარიშ. ახალ და უადვ. საშუალებით), 7) კალიგრაფია (უხეირო ხელის გასწორება), არა სავალ. საგ. 8) **ათლიტ.-ექონომ.,** 9) **სტენოგრაფია,** 10) საწერ მანქანაზე წერვა, 11) რუსული ენა, 12) არითმეტიკა. მასწავლებლებად სპეციალისტები არიან მოწვეულნი უმაღლესი (უნივერსიტეტის) სწავლით. მსმენელ ქალ-ვაჟთა მიღება სწარმოებს **ყოველ დღე** კურსების კანცელ. დილის 10—3 ს.-დე და საღამოს 5—8 ს.-დე. კურსების წესდება და პროგრამა **უფასოდ** იგზავნება. 1615

მარმარილო-მოზაიკისა, ხელოვნება-ქანდაკების და

## ძეგლების

**დამმზადებელი სახელოსნო**

## ნ. რიცცისა,

ტფილისი. ელისაბედის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 158, ტელეფ. 16—38.

ვიკვეთავთ ზემო-აღნიშნულ სამუშაოს და ვამზადებთ **მარმარილოსა და ბრინჯაოს ფიგურებს,** ბიუსტებს, ბარელიეფებს, რასაც უსაწინდროდ ვასრულებთ. **გვაქვს დიდ-ძალი რჩეული გამზადებული ძეგლები:** მარმარილოსი, ლაბრადორისა და სხვა ქვისა. 1613


ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.